

სავარჯიშო II - ლიტერორიის საკითხები

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

31. რა არის ანდაზა?

- ა) ანდაზა პოეზიის ანუ ლიტერატურის ისეთი გვარია, რომელშიც ავტორი აღვიწერს არსებულ სამყაროს ისე, რომ არ ამჟღავნებს თავის, პირად განწყობილებას.
- ბ) ანდაზა არის ბრძნული აზრის გონებამახვილურად, სხარტად და ალეგორიულად გამოხატვა.
- გ) ანდაზა არის დრამატული ნაწარმოები, რომელსაც აქვს სასაცილო (გასართობი) ან სატირული სიუჟეტი.

32. რა არის იგავ-არაკი?

- ა) იგავ-არაკი - არის ალეგორიული ფორმისა და დიდაქტიკური ხასიათის პატარა სიუჟეტის ნაწარმოები.
- ბ) იგავ-არაკი არის მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც აზრები ხატოვნად არის გამოსახული, დაცულია სიტყვების თანაზომიერება და სხვადასხვა სტრიქონში განმეორებულია ბოლო ბგერები.
- გ) იგავ-არაკი არის თხრობითი ხასიათის, დიდი მოცულობის მხატვრული ნაწარმოები, ლექსად დაწერილი.

33. რა არის ბიოგრაფია?

- ა) ბიოგრაფია არის ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი, რომელშიც მოკლედ არის აღწერილი ძირითად ნაწილში გადმოცემული ამბები.
- ბ) ბიოგრაფია არის თხზულების ან მისი ცალკეული თავის წინ წამდვარებული ციტატა, ფრაზა, რომელიც ერთგვარად ახასიათებს ნაწარმოების ძირითად იდეას.
- გ) ბიოგრაფია არის ვისიმე ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა, ვისიმე ცხოვრება, ცხოვრების გზა დოკუმენტური სიზუსტით.

34. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ციტატაში:

„ღამესა სძინავს მთა-ბარზე, ბუნება დასვენებულა...“

- ა) შედარება
- ბ) გაპიროვნება
- გ) ეპითეტი

35. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ციტატაში:

„ნაქერალაში დამდგარან თუშები თექიანები,
გულ-შაუდრეკნი ომშია, ლამქრობას ბედიანები.“

- ა) შედარება
- ბ) გაპიროვნება
- გ) ეპითეტი